


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა

„ 17 „ 08 „ 2015 წელი

2 ეგზ.

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და
ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 21/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

შემოკლებანი:.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
გაწეული სამედიცინო მომსახურება.....	3
საგადასახადო კანონმდებლობა	4
სახელმწიფო შესყიდვები	4
რეკომენდაციები	5
აუდიტის მიზანი და მასშტაბი	6
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	7
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	7
გაწეული სამედიცინო მომსახურება.....	8
სამკურნალო კვება	10
საგადასახადო კანონმდებლობა	12
სახელმწიფო შესყიდვები	14
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	18

შემოკლებანი:

1. შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ - ცენტრი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო-დამფუძნებელი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

გაწეული სამედიცინო მომსახურება

2014 წელს დაფიქსირდა 4 შემთხვევა, როცა არასწორი დიაგნოზისა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ შეტყობინების არათავისდროული გადაგზავნის ფაქტების გამოვლენის გათვალისწინებით, ცენტრის მიერ სამედიცინო საქმეებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ღირებულება კორექტირებული იქნა 3647 ლარით. აღნიშნული თანხით შემცირებულია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ დასაფინანსებელი მომსახურების ღირებულება. გვ.8

სამკურნალო კვება

არ არის დაცული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრული სამკურნალო დიეტების, ერთ ავადმყოფზე დღეში დადგენილი პროდუქტების საშუალო მოხმარებისა და სტაციონალური მკურნალობის საწოლდღის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ნორმები. ნორმებთან შედარებით გახარჯული საკვები პროდუქტების რაოდენობა, მათი მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკებზე მიუთითებს. გვ.10

საგადასახადო კანონმდებლობა

➤ შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ, 2014 წელს ქონების გადასახადით არ არის დაბეგრული ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები; გვ. 12

➤ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 და 108 -ე მუხლების მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად (უიმედო ვალად აღიარების კრიტერიუმები), ცენტრის 2014 წლის მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულია 221553 ლარით. გვ. 13

სახელმწიფო შესყიდვები

➤ ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესყიდვის განხორციელების მიზნებისთვის ბაზრის კვლევის ამსახველი რაიმე დოკუმენტური სახის მტკიცებულება; გვ. 14

➤ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წელს დასრულებული ხელშეკრულებების ამსახველი დოკუმენტაცია არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში¹; გვ. 15

➤ აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ სატენდერო მოთხოვნით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით საჯარიმო სანქციის გამოყენებას განაპირობებს და რომელიც საზოგადოების შემოსავლის კატეგორიას განეკუთვნება; გვ. 16

➤ მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ დადგინდა აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა. კერძოდ, სასაქონლო ზედნადებებში არ არის აღნიშნული იმ ხელშეკრულების ნომერი, რომლის ფარგლებშიც იქნა მიწოდებული საქონელი. ამასთან, საბუღალტრო მონაცემებში პროდუქციის მიღების აღრიცხვა არ ხდება ხელშეკრულებების შესაბამისად, რის გამოც მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება 2014 წელს მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდების შესახებ

¹ შეუსრულებელია შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

გაფორმებული 746268 ლარის ღირებულების, 12 ხელშეკრულების შესრულების კანონიერებასთან დაკავშირებით; გვ.16

➤ ცენტრის მიერ 2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შემოწმებით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და 10¹ მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები, რაც შესყიდვების განხორციელებისას მონეტარული ზღვრების დაცვას ითვალისწინებს. გვ. 17

რეკომენდაციები

➤ პირველადი სამედიცინო და საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტების სრული დაცვით. ამასთან, დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას;

➤ შესაბამისი შიდა კონტროლის შემუშავების გზით, უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამკურნალო დიეტების, ერთ ავადმყოფზე დღეში დადგენილი პროდუქტების საშუალო მოხმარებისა და სტაციონალური მკურნალობის საწოლდღის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ნორმების დაცვა;

➤ მოხდეს 2014 წლის მოგებისა და ქონების გადასახადების დეკლარაციების კორექტირება. ამასთან, ცენტრის საქმიანობის წარმართვისას სრულად იქნეს დაცული საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები;

➤ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და შემდგომ დაწესდეს შესაბამისი კონტროლი მის შესრულებაზე. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნეს მონეტარული ზღვრების დაცულობა და სატენდერო მოთხოვნითა და

ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური დადასტურება.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა ცენტრის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს ცენტრის 2014 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. ფინანსური ანგარიშგება;
2. გაწეული სამედიცინო მომსახურება;
3. სამკურნალო კვება;
4. ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მიღება, აღრიცხვა და გამოყენება;
5. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები;
6. საგადასახადო კანონმდებლობა;
7. სახელმწიფო შესყიდვები.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. ცენტრის ხელმძღვანელობა

ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისთვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ცენტრის 2014 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ცენტრი წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია, მიღებული ლიცენზიის ფარგლებში, მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამკურნალო, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და სამედიცინო

პროფილაქტიკური ღონისძიებების კუთხით. ცენტრის საწესდებო კაპიტალი 1210048 ლარს შეადგენს.

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონულ ცენტრზე“ 2011 წლის 5 მაისს გაცემულია სტაციონალური დაწესებულების სანებართვო მოწმობა N000285 და სანებართვო მოწმობის დანართები: „ინფექციური დაავადების მკურნალობა“ - სანებართვო მოწმობა N001171, „რენიმატია“ -N001172, „რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა -N001170, „ფტიზიატრია“ - N001168, „ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა“ - N000318, „მზა წამლის ფორმების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემა“ - N000328.

ცენტრის 2014 წლის შემოსავლები და ხარჯები:

დასახელება	თანხა (ლარი)
შემოსავალი შიდა სტანდარტებით	316784
შემოსავალი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით	1882061
შემოსავალი სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით	220480
შემოსავალი იჯარიდან	23700
არასაოპერაციო შემოსავალი	147914
სულ შემოსავალი	2590940
დარიცხული ხელფასი	1404319
ძირითადი მასალების დანახარჯი	595121
ძირითადი საშუალებების ცვეთა	113055
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	198044
არასაოპერაციო ხარჯი	256025
სულ ხარჯი	2566564
მიმდინარე პერიოდის მოგება	24377

გაწეული სამედიცინო მომსახურება

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონულ ცენტრს“ საქართველოს მთავრობის N385 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მოპოვებული აქვს სტაციონალური დაწესებულების სანებართვო მოწმობა, რომელიც უფლებას აძლევს, მოწმობით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში ეწეოდეს სამედიცინო საქმიანობას. აუდიტის პერიოდში,

შერჩევითი წესით გადამოწმდა ცენტრის მიერ 2014 წლის სექტემბრის თვეში სტაციონალური პაციენტების სამედიცინო ბარათების ფინანსური აღრიცხვის მონაცემები.

კრიტიკიუმი:

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების, საავადმყოფოს შიდა სტანდარტებისა და სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედი ნორმატივების² გათვალისწინებით განისაზღვრება გაწეული მომსახურების სრული საფასური და მომსახურების მიმღები მხარეების მხრიდან გადასახდელი თანხების ოდენობა.

გამოვლენილი გარემოება:

წარმოდგენილი სტაციონალური სამედიცინო ბარათების შესაბამისად, 2014 წლის სექტემბრის თვეში, ცენტრის მიერ 132 პაციენტზე გაწეული იქნა სულ 79116 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება. გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, ანაზღაურებას დამკვეთების მხრიდან დაეკვემდებარა 70647 ლარი, პაციენტების მხრიდან - 3334 ლარი, ხოლო 5135 ლარი, გაფორმებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, არ ეკვემდებარება ანაზღაურებას და შესაბამისად ცენტრის ზარალს წარმოადგენს.

2014 წელს დაფიქსირდა 4 შემთხვევა, როცა არასწორი დიაგნოზისა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ შეტყობინების არათავისდროული გადაგზავნის ფაქტების გამოვლენის გათვალისწინებით, ცენტრის მიერ სამედიცინო საქმეებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ღირებულება კორექტირებული იქნა 3647 ლარით. აღნიშნული თანხით შემცირებულია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ დასაფინანსებელი მომსახურების ღირებულება.

² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის“ 2014 წლის 1 იანვრის N01 ბრძანება „ცენტრის შიდა სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაცია

დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას.

სამკურნალო კვება

სამკურნალო კვება კომპლექსური თერაპიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მას უნიშნავენ თერაპიის სხვადასხვა სახეობასთან კომპლექსში. ცენტრში წარმოებს სამკურნალო კვება ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისთვის, რომელიც გამოიყენება ფილტვების, ძვლების, ლიმფური კვანძების ტუბერკულოზის გამწვავების პერიოდში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ტუბერკულოზის სამკურნალო კვების დიეტა, რომლის შესაბამისადაც უნდა წარმოებდეს ცენტრის პაციენტთა კვება.

კრიტერიუმი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით³ განისაზღვრა სამკურნალო დიეტები ცალკეული დაავადების დროს. შესაბამისად, ცალკეული დიეტისათვის კალორიულობისა და ქიმიური შემადგენლობის საფუძველზე დგინდება ნორმები, რაც აუცილებელია მრავალფეროვანი და ბიოლოგიურად სრულფასოვანი რაციონის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით თითოეული დიეტისათვის დგება 7 დღიანი მენიუ, იანგარიშება მთლიანი მოთხოვნილება პროდუქტებზე და გამოყავთ საშუალო დღიური ნორმა. ერთ ავადმყოფზე დღეში დადგენილია პროდუქტების საშუალო მოხმარების ნორმები, რომელთა დაცვაც მკურნალობის შედეგიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია.

გამოვლენილი გარემოებები

ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების შესაბამისად, 2014 წელს პაციენტთა ნაკადისა და დიეტით გათვალისწინებული რაციონის გათვალისწინებით, კვებისთვის შესყიდულია 73730 ლარის და გახარჯულია 74370 ლარის საკვები პროდუქტები. ამავე პერიოდში აღრიცხულია 14192 საწოლდღე და შესაბამისად ერთი პაციენტის ყოველდღიური კვებისთვის გაწეული ხარჯი 5,24 ლარს შეადგენს, რაც 0,24 ლარით მეტია ცენტრის

³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 17 სექტემბრის N258/ნ ბრძანება „სამკურნალო დიეტების დამტკიცების შესახებ“

დირექტორის მიერ დამტკიცებული სტაციონალური მკურნალობის საწოდების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ თანხაზე. შესაბამისად, 2014 წელს პაციენტთა კვებისათვის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებით გახარჯული იქნა 3406 ლარით მეტი.

დიეტის გათვალისწინებით შედგენილი მენიუების შესაბამისად, გახარჯული საკვები პროდუქტების ანალიზით დადგენილია, რომ 2014 წელს ცენტრში არ არის დაცული ერთ ავადმყოფზე დღეში პროდუქტების მოხმარების ნორმები. პროდუქტების სახეობების მიხედვით ადგილი აქვს როგორც ნაკლები, ასევე მეტი რაოდენობით ხარჯვის ფაქტებს. ნორმებთან შედარებით გახარჯული საკვები პროდუქტების რაოდენობა, მათი მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან რისკებზე მიუთითებს

ნორმებთან შედარებით ნაკლები ოდენობით გახარჯულია:

N	დასახელება	ზომის ერთ.	გათვალისწინებული ნორმით	გაცემულია	სხვაობა
1	პური ჭვავის	კგ	2128,8	675,5	1453,3
2	ბურღულეული და მაკარონი	კგ	1419,2	820,8	598,4
3	კარტოფილი	კგ	5676,8	4514,6	1162,2
4	ბოსტნეული	კგ	5676,8	3041,5	2635,3
5	ხილი	კგ	2128,8	1753,4	375,4
6	შაქარი	კგ	993,4	991,5	2,0
7	თევზი	კგ	1419,2	513,9	905,3
8	რძე მაწონი	კგ	5180,1	2297,0	2883,1
9	ხაჭო	კგ	241,3	131,9	109,4

ნორმებთან შედარებით მეტი ოდენობით გახარჯულია:

N	დასახელება	ზომის ერთ.	გათვალისწინებული ნორმით	გაცემულია	სხვაობა
1	პური ხორბლის	კგ	3548,0	6572,5	3024,5
2	ფქვილი ხორბლის	კგ	354,8	1099,1	744,3
3	ზეთი	კგ	227,1	311,3	84,2
4	ხორცი	კგ	1774,0	2534,0	760,0
5	ყველი	კგ	141,9	305,9	164,0
6	არაჟანი	კგ	156,1	172,4	16,3
7	კარაქი	კგ	567,7	654,0	86,3
8	ჩაი	კგ	14,2	25,3	11,1
9	მარილი	კგ	141,9	157,6	15,7
10	კვერცხი	ცალი	5677	10211	4534

რეკომენდაცია

შესაბამისი შიდა კონტროლის შემუშავების გზით, უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამკურნალო დიეტების, ერთ ავადმყოფზე დღეში დადგენილი პროდუქტების საშუალო მოხმარებისა და სტაციონალური მკურნალობის საწოდების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ნორმები.

საგადასახადო კანონმდებლობა

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ საფინანსო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშებზე ზედმეტად გადახდილია 21194 ლარი.

N	გადასახადი	დარიცხული	ჩარიცხული	საბოლოო სალდო
1	საშემოსავლო გადასახადი	278232	278232	0
2	მოგების გადასახადი	-10491	10000	20491
3	ქონების გადასახადი	0	0	0
4	ჯარიმები	0	693	693

ქონების გადასახადი

კრიტერიუმი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის⁴ შესაბამისად, სამედიცინო საქმიანობისთვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაშია ან ასეთ დაწესებულებაზე ლიზინგით არის გაცემული და სამედიცინო საქმიანობისთვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან. შესაბამისად, ცენტრის მიერ იჯარით გაცემული ძირითადი აქტივები წარმოადგენენ ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზას.

გამოვლენილი გარემოება:

2014 წლის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის მიხედვით, ცენტრს საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების სახით, ერიცხება 657483,2 ლარის

⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203 -ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტის „წ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები.

ძირითადი აქტივები, რომელიც ამავე დეკლარაციის მიხედვით გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან. საფინანსო დოკუმენტაციის შესაბამისად, 2014 წელს მოქმედებდა იჯარის ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისადაც ცენტრის ძირითადი აქტივი (არასაცხოვრებელი ფართი 15კვ.მ, 20 კვ.მ მიწა და ანტენების განსათავსებლად სახურავის ნაწილი), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემულია შპს „მობიტელსა“ და შპს „ჯეოსელზე“. შესაბამისად, აღნიშნული ქონება ცენტრის მიერ სამედიცინო საქმიანობაში არ არის გამოყენებული და მასზე ვერ გავრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის „წ“ და „ჭ“ პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი.

ამრიგად, შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ 2013 წელს ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი.

მოგების გადასახადი

კრიტერიუმები

საქართველოს საგადასახადო კოდექსი⁵ ითვალისწინებს, გადასახადის გადამხდელის მიერ უიმედო ვალების გამოქვითვის შესაძლებლობას იმ პირობებში, როცა მისაღები შემოსავლები წინა საანგარიშო პერიოდებში შეტანილი იყო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. ამასთან, რეგისტრირებული მოთხოვნების უიმედო ვალად აღიარებისთვის აუცილებელია არსებობდეს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ცნობა აღსრულების ორგანოებიდან სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება, შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ან/და რეაბილიტაციის დაწყების შესახებ, თუ მოსამართლის მიერ ამ კრედიტორის მოთხოვნა

⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი მუხლი 108

არ იქნა აღიარებული; ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან გარდაცვალების ცნობა.

გამოვლენილი გარემოება

ცენტრის 2014 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის შესაბამისად, 2014 წლის გამოქვითვებში უიმედო ვალების სახით ჩართულია 247041 ლარი. აუდიტის პერიოდში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, მოთხოვნების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 25488 ლარზე. შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 და 108-ე მუხლების მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად, ცენტრის 2014 წლის მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულია 221553 ლარით.

რეკომენდაცია

მოხდეს 2014 წლის მოგებისა და ქონების გადასახადების დეკლარაციების კორექტირება. ამასთან, ცენტრის საქმიანობის წარმართვისას სრულად იქნეს დაცული საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები.

სახელმწიფო შესყიდვები

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ 2014 წელს სულ გაფორმებულია 75 ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისად შესყიდულია 846684 ლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება. გაფორმებული ხელშეკრულებიდან 3 შემთხვევაში ხელშეკრულებები გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის, 23 შემთხვევაში ხელშეკრულებები გაფორმდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და 49 შემთხვევაში - გამატივებული შესყიდვის ფორმით. გამოცხადებული ტენდერებიდან ტენდერი არ შედგა 2 შემთხვევაში და დასრულდა უარყოფითი შედეგით 1 შემთხვევაში.

კრიტერიუმი:

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა⁶. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპი⁷.

⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2

⁷ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 73², მე-4 ნაწილი

ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად⁸. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოს ან/და მომსახურების გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გამოვლენილი გარემოება

ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესყიდვის განხორციელების მიზნებისათვის ბაზრის კვლევის ამსახველი რაიმე დოკუმენტური სახის მტკიცებულება, რითაც განისაზღვრებოდა ცენტრისათვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები⁹ და დაიზოგებოდა საზოგადოების კუთვნილი თანხა. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წელს დასრულებული ხელშეკრულების ამსახველი დოკუმენტაცია არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.¹⁰

სატენდერო განცხადების შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად მითითებულ ვადაში.

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	ღირებულება	ხელშეკრულების საგანი	მიწოდების პირობა
1	N10. 17.01.2014	შპს “TRAIDING SERVICE”	5997	საწმენდი და საპრიაღებელი პროდუქცია	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
2	N22. 24.01.2014	შპს „ქუთაისი“	142935	ფარმაცევტული პროდუქტები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
3	N26. 29.01.2014	შპს „ბიოლენდი“	19160	ლაბორატორიული რეაქტივები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში
4	N41. 22.04.2014	შპს „ქუთაისი“	39990	ფარმაცევტული პროდუქტები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1 პუნქტი.

⁹ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

¹⁰ შეუსრულებელია შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ცხრილში მოყვანილ და სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაკეთებული დაკვეთების შესახებ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ სატენდერო მოთხოვნით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით საჯარიმო სანქციის გამოყენებას განაპირობებს და რომელიც საზოგადოების შემოსავლის კატეგორიას განეკუთვნება.

➤ მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ დადგინდა აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა. კერძოდ, სასაქონლო ზედნადებებში არ არის აღნიშნული იმ ხელშეკრულების ნომერი, რომლის ფარგლებშიც იქნა მიწოდებული საქონელი. ამასთან, საბუღალტრო მონაცემებში პროდუქციის მიღების აღრიცხვა არ ხდება ხელშეკრულებების შესაბამისად, რის გამოც მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება 2014 წელს მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდების შესახებ გაფორმებული 746268 ლარის ღირებულების, 12 ხელშეკრულების შესრულების კანონიერებასთან დაკავშირებით.

კრიტერიუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საფინანსო წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა, შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და 10¹ მუხლებით, რომელთა შესაბამისადაც, ამავე კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სახელმწიფო შესყიდვებისას 5000 ლარამდე ღირებულების საქონლის ან მომსახურების შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამატივებული შესყიდვის ფორმით, 5000-დან 200000 ლარამდე - გამარტივებული ელექტრონული ფორმით, ხოლო 200000 ლარის ზევით კი - ელექტრონული ტენდერის ფორმით.

გამოვლენილი გარემოება

ცენტრის მიერ 2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შემოწმებით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და 10¹ მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები, რაც შესყიდვების განხორციელებისას მონეტარული ზღვრების დაცვას ითვალისწინებს. კერძოდ:

N	საქონელი და მომსახურება	SPV - კოდი	ხელშეკრულების ნომერი	სავარაუდო ღირებულება	სულ ღირებულება	გამოყენებული შესყიდვის საშუალება	კანონმდებლობით განსაზღვრული შესყიდვის საშუალება
1	საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა	30100000	19	4800	8800	გამარივებული შესყიდვა	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
			31	4000		გამარივებული შესყიდვა	
2	ბუნებრივი წყალი	41100000	23ა	4800	6300	გამარივებული შესყიდვა	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
			60	1500		გამარივებული შესყიდვა	
3	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	30200000	42	1000	6001	გამარივებული შესყიდვა	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
			47	783		გამარივებული შესყიდვა	
			54	1768		გამარივებული შესყიდვა	
			63	2450		გამარივებული შესყიდვა	
4	ფარმაცევტული პროდუქტები	33600000	9	73000	572573	გამარივებული ელექტრონული ტენდერი	ელექტრონული ტენდერი
			22	142935		გამარივებული ელექტრონული ტენდერი	
			26	19160		გამარივებული ელექტრონული ტენდერი	
			29	128988		გამარივებული ელექტრონული ტენდერი	
			30	168300		გამარივებული ელექტრონული ტენდერი	
			41	39990		გამარივებული ელექტრონული ტენდერი	
			66	200		გამარტივებული შესყიდვა	

ზემოთ მოყვანილი ცხრილში, ფარმაცევტული პროდუქციის კატეგორიაში, N9 და N26 ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ლაბორატორიული რეაქტივების შესყიდვა, რომლის კლასიფიკატორის კოდია 33696500, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „ შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის პირვალი სამი ციფრით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ლაბორატორიული რეაქტივები უნდა მიკუთვნოდა ფარმაცევტული პროდუქციის კატეგორიას.

რეკომენდაცია

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და შემდგომ დაწესდეს შესაბამისი კონტროლი მის შესრულებაზე. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას უზრუნველყოფილი იქნეს მონეტარული ზღვრების დაცულობა და სატენდერო მოთხოვნითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური დადასტურება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

აუდიტის ჯგუფის წევრები:


აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/



17.08.2015წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორი/



17.08.2015წ.